საქართველო უპირველეს ყოვლისა!

ლეგიონერი

• ქართველ შევარდენთა ლეგიონის გაზეთი №-3 19 წ. •

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ შევარდენთა ლეგიონის -
სამხედრო საბჭოს ოფიციალური -

განცხადება!

სად არიან ქართველ შევარდენთა ლეგიონის წევრები? - მსგავსი შეკითხვები ხშირად ისმოდა,გიორგობა დღეს ცხინვალთან ჩატარებული მიტინგის წევრთაგან და ეს შეკითხვები გაისმა მას შემდეგ,როდესაც ნათელი გახდა რომ მიტინგის ჩატარება ცხინვალში არ მოხდებოდა.

ამასთან დაკავშირებით,სრულიად საქართველოს,სამხედრო ტიპის,პატრიოტულ სპორტული საზოგადოება "ქართველ შევარდენთა ლეგიონის"სამხედრო საბჭო აცხადებს - ქართველ შევარდენთა ლეგიონი არ არის პოლიტიკური,არამედ სამხედრო ტიპის საზოგადოებაა,რომლის ძირითადი მიზანია მოამზადოს "ქართველ სამოქალაქო,მოხალისეთა - ოფიცერთა კორპუსი" რომელიც შეძლებს საჭიროების შემთხვევაში,ორგანიზება გაუწიოს,პატრიოტული სულისკვეთების მქონე მასებს.საზოგადოების სამოქმედო პროგრამაც შესაბამისია და ამ მიმართულებითაა წარმართული. გარდა ამისა საზოგადოება,მისი სამხედრო საბჭო,საქმის კურსში არავის ჩაუყენებია ამ აქციის დაგეგმვის შესახებ, /თავის დროზე,იმ საბაბით,რომ ჩვენ პოლიტიკური საზოგადოება არა ვართ, უარი გვეთქვა "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" თავისუფალი წევრობის ბაზაზე./ მიუხედავად ამისა,უკვე 23-ნოემბერს,მზადყოფნა ნომერ პირველთან ერთად,გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია და ლეგიონი მზად იყო შეესრულებინა თავისი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე! ვაცხადებთ - ქართველ შევარდენთა ლეგიონი არის ერთადერთი წმინდა ქართული საზოგადოება,რომლის ყოველი წევრი,მანამ ის სრულუფლებიან წევრად გახდებოდეს,გადის მრავალმხრივ შემოწმებასა და გამოცდას.

გარწმუნებთ - ლეგიონერები იყვნენ, არიან და იქნებიან იქ სადაც ამის საჭიროებას დაინახავს საზოგადოება,მისი სამხედრო საბჭო,გამომდინარე მთლიანად ქართველი ერის ინტერესებიდან!

რაც შეეხება ჩვენს პოზიციებს, წმინდა გიორგის დღეს ცხინვალთან მომხდარ ამბებზე - თუ არ იყო აქცია ქალაქში ჩასატარებელი, არც უნდა ჩატარებულიყო და თუ მაინც გადაწყდა მისი იქ ჩატარება,უნდა ჩატარებულიყო შიგ ქალაქში,რადგაც არუნდა დაგვიდომოდა,მით უმეტეს რომ გიორგობა დღეს,წმინდა გიორგის დროშებით ჯერ ქართველობას დამარცხება არასოდეს არ განუცდია - ნურც მოგვეშალოს მისი წყალობა!

მაშინ ჩოჩიევი და ძმანი მისნიც აღარ იტლიკინებდნენ ამდენს!

ქართველ შევარდენთა ლეგიონის -
სამხედრო საბჭო.

• • •

მამულო გიახლოვდები
თუმცა პატარა დროშითა,
ისევე ველი მომხვდურებს
ქართული მხედრიონითა.
ძახილზე ისევ გამოვალ
სამასიოდე მოყმითა,
ის არვინა სთქვას სიმცირე
აბაბუნებდეს მიწასა,
ძლევაი გასაკვირველი
მოუმოქმედავს ციდასა.
დასაცინარი არ გვჭირდეს
ძუძუს არ მოვჭრით ძიძასა,
ბრძოლაში ასეც ყოფილა
ხმალი გამტყდარა ვადაში,
ნათქვამი არის მარტოკა
კაცი ცოდვაა ჭამაშიც.
ვალი პირნათლად ვასრულეთ
თუმც სისხლს ვურევდით ქადაში,
ზეზეულს ცხენზე გვეძინა
ხმალს არ ვაგებდით ქარქაშში!

იჩქით ბორჯანელი

• • •

დეკემბრის თორმეტში,სამშაბათს,მარნეულის რაიონის სოფელ დავით აღმაშენებელში,შედგა ქართველ შევარდენთა ლეგიონის მარნეულის სარაიონო დამფუძნებელი კრება /სარაიონო სარდალი ვაჟა ბალიაშვილი/ საზეიმო ვითარებაში ფიცი მიიღეს სამშობლოს სამსახურისთვის მოწოდებულმა ნორჩმა ლეგიონერებმა - ღმერთი იყოს მათი შემწე -ამინ

შიში თუ დარდიმანდობა?

"ტკივილით სკდება კვირტები,
ახალ შობილის კვნესაა,
გაიშლები და ცვივდები,
სულ ყველაფერი ესაა"

იჩქით ბორჯანელი

I

ადიდან და ბაბადან ასე მოსდგავს,მამათა ცოდვა,მძიმე უღელია,შვილთათვის [illegible] საზიდი - ასე უნებებია უფალს!

მუცელ-ღორობა არ შეუნდო-ადამ და ევას, არ აპატია ცოდვები თვისნი - სასტიკი იყო განაჩენი შემოქმედისა,სამოთხიდან გამოძევა დედამიწაზე,თან [illegible] მცნება [illegible] განსაწმენდად [illegible],მაგრამ [illegible] ეშმაკს ეძინა ამ დროს.

გიშველათ ღმერთმა!- საცდუნებელი ბევრი ჰქონდა მას არსენალში: ჭამა-სმა,დროს ტარება,[illegible],[illegible],ფუფუნება და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამე.

მეტად იაფი გამოდგა სამოთხიდან ჩვენს ცოდვილ მიწაზე მოხვედრა - ერთხელ ნაკბეჩი ვაშლის ფასი ჰქონდა ის [illegible] საგზურს. მას მერე ყოველ [illegible],პირველ [illegible] ცოდვებით [illegible], იგივე გზის გავლა გვიხდება. [illegible]ლნი,ცოდვის ნაყოფად ვევლინებით ამ ქვეყნის ბუდეს და ვევლინებით [illegible] რამე თუ უკვე მაშინ,კარგად [illegible] რას გველის ხვალე.

ვიცით,ეშმაკი აგვედევნება თან აჩრდილივით და საკმარისია წამით დავივიწყოთ ღმერთის ანდერძი,რომ უკვე გაგვაბავს ხაფანგში. დრო გადის,მამათა ცოდვებს ცოდვებს ვუმატებთ,ცოდვებთან ერთად გვიჩნდება შიშიც.ის ჩვენს თვალებში,ჩვენს სულში ნახულობს ბინას,შიში ხვალინდელი დღისა,შიში განკითხვისა,მაგრამ ეშმაკიც აქვეა, ყურში ჩაგვჩურჩულებს "ნუ გეშინია,ვერავინ გხედავს,ვერ მიხვდებიან,მიდი"-ო და ჩვენც უბედურებს გვჯერა,გვჯერა იმ წამში მაგრამ მეტად ხანმოკლეა ცოდვის სიტკბოსიამე - ჩაივლის ის და ვრჩებით ხვალინდელი დღის შიშის ამარა! შემდეგ კი აღარა დაგვრჩენია რა,გარდა იმისა, რომ ბოთლში ჩავძვრეთ,დროს ტარებაში,ღვინო-არაყში ვეძიოთ თავდავიწყება - ვერც ესა გვშველის,რამე თუ მირაჟია და ისიც ხანმოკლე ყოველივე ეს. ცხადი კი მხოლოდ შიშია და ამ შიშით გამოწვეული სინანულის გრძნობა. საშინელია შიში შიშისა!

ღმერთია მოწმე,მეტად ლამაზია ენა ქართული,მაგრამ არის სიტყვები,რომლებიც მართლაც გენიალურობის "შედევრებად" შეიძლება ჩაითვალოს,ერთი მათგანია "წუთისოფელი" - პირდაპირ სნაიპერულ გასროლას ჰგავს!

მართლაც რა ხანმოკლეა და წარმავალი წუთისოფელი,უკან მიხედვას ვერ მოასწრებ რომ თვალსა და ხელს შუა,დრო ისე გეპარება,როგორც ჭილობში ჩასხმული წყალი.მარადიული კი მხოლოდ სულეთის ორი "ასაბნიაკია"- ერთი სამოთხე და მეორე ჯო-ჯო-ხეთი! "რომელსა ასხენ ყურნი სმენად,ისმენენ!" /მათე 11.15/

ფუჭია და წარმავალი ყოველი ამაოება, მარადიული მხოლოდ სულია - წმინდა! სხვანაირად:სინდისი,სიკეთე,მოწყალება - ანუ ღმერთი! ღმერთი სინათლეა,სინათლე ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება კი ღმერთია! აი ის მარადიული წრე,წმინდა სამება - მამა,ძე და სული წმინდა - გფარვიდეთ მისი მადლი!- ამინ! ყველა დანარჩენი არარაობაა უკუნია და ეშმაკისეული,თუმცა ამაზეც მაღალი ღმერთის ნებაა,ჩვენდა განსაცდელად მიმოპნეული - გვახსოვდეს ეს!

დღეს საქართველოს უჭირს,უჭირს ისე როგორც არასდროს,უჭირს ქართულ ერსა და ბერს,თანადგომა კი არსად სჩანს,ყველანი საკუთარ ტყავში გამოვკეტილვართ და თავი მოგვწონს -"სხვისი ჭირი,ღობეს ჩხირიო!" ასეა კი? განა ჭირის თვისება არ არის ინფექცია? ნუთუ შენ უნდა შეგეყაროს რომ გონს მოხვიდე? გიფიქრიათ კი ამაზე?!

ტელეეკრანზე,გაწამებული და ცხოვრების ანაბარას მიტოვებული ქართველი,მრავალშვილიანი დედა მაგდა,მორცხვად გვიყვება თავის გასაჭირს,ეუხერხულება ქართველ მანდილოსანს,შვიდი შვილის დედას თავისი გასაჭირის გამხელა,ნახევარი საქართველო მოატარა წვრილშვილი,გულმოწყალებისა და სამართლის ძებნაში,რაცომ, რა, ამ მანძილზე ნუთუ არ იყვნენ კეთილი ადამიანები? იყვნენ,რა თქმა უნდა იყვნენ,მა - გრამ ისინი უბრალო ადამიანები არიან და მათთან მისვლა მოერიდებოდა მანდილოსანს, ის მიდიოდა მათთან ვისაც ეს ცხოვრება ხელეწიფების,მაგრამ ვერსად ნახა მათში თანაგრძნობა,ძლიერნი ამა ქვეყნისანი სახალხოდ მოვიწოდებენ გამრავლებით,მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ მათთან სამართლის საძებნელად მისვლისაგან,თუ ცხრა კლიტულს გაალწიე,წინ ისეთი ნაგაზი დაგხვდებათ რომ სულ დაგიკარგავთ ნირს,ჩაიქნევთ ხელს და [illegible] თქვენთვის. მცხეთაში,

ქარხნის დირე[illegible] საერთოსაცხოვრებლის პატარა ოთ[illegible] ქუჩაში გამოაყრევინა დედა-წული,[illegible] კი თავის შვილებს მათ [illegible] პირს აშველდა,აქ ალბათ იკითხავთ [illegible] დასჯილი [illegible] ქართველი,[illegible] ამოფარებული [illegible] არაკაცურად მოექცა უსუსურ ობოლებს - არა,გარწმუნებთ იმაზე უკეთესად არის ვიდრე თქვენ [illegible],რადგან ერთი თავით არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი შეკრულნი და არავის არ აწყობს ამ შეკრების დაშლა,ის[illegible] უკვე ყური მიუყრიათ აქა და [illegible]. სამაგიეროდ ამა ერთი [illegible] იმ და იმისთანა სა[illegible] [illegible] ნახე[illegible] [illegible]? საქმე სულ სხვა [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] ინტერვიუები იმუშავებენ,აქ უკვე [illegible] გვაქვს საქმე! - "რომელსა ასხენ ყურნი სმენად,ისმენენ!"

მოდით თავი დავანებოთ [illegible] და მარტო ისა ვთქვათ, რამდენს ძალუძს [illegible] საჭირბოროტო საკითხებში თავისი თანადგომა გაუწიოს,ერის სასიკეთოდ მებრძოლ ძალებს? თაგვს უთქვამს რომ არ მავიწყდებოდეს სად რა მაქვს შენახული,ცხენიან კაცს გამოვკვებავდი წლიდან-წლამდე! ბევრ ჩვენგანსაც ასე ემართება,ზოგს ისიც არ ახსოვს თუ სად შეინახა ფული და ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ თავის ნაშიერებსაც არ ეუბნება სამალავის ადგილ-სამყოფელს და მერე,მთელი მისი მონაგარი მიწაში მასთან ერთად ლპება!

მდიდარსა და ღარიბს რა გამოლევს, ყოველთვის იყო და იქნება კიდეც ეს,რამე თუ თვით მამაზეციერის დაწესებია ჩვენთვის - "ოფლითა შენითა მოიპოვე"-ო ჩვენ ისეთ სისტემაში ვცხოვრობთ,რომ ოფლით ვერაფერს ვერ მოიპოვებ,გარდა სასიცოცხლო მინიმუმისა,მაგრამ თუ მდიდარი ხარ მიბაძე მდიდარს გინდა ძველი დროისას და გინდა ახალი დროისას,ყველა თქვენგანი ხართ საზღვარ გარეთ ნამყოფი, შეხედე მათ და შენც გახდი მართლა მდიდარი,თორემ აბა მე და შენში სხვა რა განსხვავებაა? მე რაცამაქვს იმას ვხარჯავ, შენ კი მიუხედავად იმისა რომ ბევრი გაქვს,მაინც იმდენსა ხარჯავ რასაც მე, დანარჩენს კი მიწაში მარხავ,მაშ რითი ხარ ჩემზე მდიდარი? - მხოლოდ ერთით, შენ გეშინიან,გეშინიან ყველასი და ყველაფრის და ეს შიში გაავადმყოფებს. ვითომ დარდიმანდობას ამოფარებული ამ შიშით აძრწოლებული ღვინოში ეძებ შვებას,ვერც იქ პოულობ, რადგან ღვინო ალალი კაცის წამალია,თქვენისთანებისათვის კი შხამი!

ნუ მოიტყუებთ თავს,ნუ დაიმატებთ ცოდვას ცოდვაზე, მიბაძეთ ჩვენს მამა-პაპას-ქართველი კაცი ხნულში თესლს რომ თესდა თან ჩურჩულებდა"ეს მე და ჩემს ოჯახს,ეს მეფესა და ქვეყანას, ეს ქვრივსა და ობოლს"-ო! შენი ნაშოვნი შენც შეირგე,შენს ოჯახსაც მოახმარე და ცოტა ქვეყანასა და ქვრივ-ობოლსაც მიეცი, ღმერთი დაგიფასებს და ცოდვებსაც შეგინდობს.

უნდა გახსოვდეთ რომ უფალმა ღმერთმა თავისი მსგავსი გამოგვძერწა და აბა რას მოეწონება თუ ჩვენში ღორი შეიცნო?

გიყვარდეთ ღმერთი და ძრწოდეთ მისი შიშით,რამე თუ ერთი დრო ყველას მოეკითხება - დიდი არს ღმერთი!

თუ მდიდარი ხარ იყავ მდიდარი,მაგრამ სულითაც მდიდარი იყავი მაშინ!

სიმდიდრე თავისუფლებაა და შენ შენი ქონების მონად რად ხდები,განთავისუფლდი შიშისგან და მოგონილი დარდიმანდობისაგან!

• • •

- II -

"ტყუილი ვთქვა შეიქმნების
ჩემი თქმული რასა მარგი,
მართალი ვთქვა მეშინია,
ვა, თუ გავხდე დასაკარგი!"

დავით გურამიშვილი

თავისუფლება თუ რელიგიური თვითმკვლელობა?

რამდენადაც ჩემი მეხსიერება წვდება,ეს [illegible] მესმოდა,დასაძინებლად დაწოლილი დედის ჩურჩულში - "ღმერთო! შენ უშველე ქვეყანას და ქვეყნის მადლით ჩემს შვილებს"-სა[illegible] [illegible] გამზარდა და დღესაც ასე მჯერა, [illegible] დედის ლოცვაში,არც მსოფლიოა და არც ქრისტიანობა,ქვეყანა საქართველოს სინონიმია და ამას გვასწავლიდა [illegible]!

ნურავინ იფიქროს,რომ მე ვინმე ურჯულო ან [illegible] [illegible]ენაცვალე მათ ხსენებას, რაც კი ჩემს მამა-პაპას,ხატი და ღმერთი [illegible],[illegible] და პირს ჯვარი გადასახავს ყველასთან ბავშვობიდან მიდევს [illegible] - ნურც მომეშალოს მათი წყალობა!

[illegible] შემინდოს მან ვისაც მკრეხელურად ეჩვენოს ჩემი მსჯელობა და მაცხოვარი ჩვენი შემინდობს,რამე თუ უწყის სიწმინდე მისწრაფებათა ჩემთა. ნურც ისე გამიგებთ,თითქოს და მე ცოდვილს,ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ მინდოდეს გალაშქრება,ან [illegible] ამ მართლაც და დიდი [illegible], არც ჭკუის სწავლება განმიზრახავს ვისმესთვის - ღმერთმა დამიფაროს ამპარტავნობისაგან,მე მხოლოდ მინდა ზოგირამ ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.

მხედველობაში მაქვს ის ფაქტორი,რომ ზოგიერთი ჩვენი თავკაცთაგანი,საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებისათვის ბრძოლას, მის სტრატეგიულ გეზს ქრისტიანულ დოგმებზე აგებს და ხშირად თავისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში ხედავს, არც ისე იშვიათია მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარ ქართველებისადმი დაჟინებული მოთხოვნები - დაუბრუნდნენ წინაპართა სალოცავებს,კიდევ უფრო შეურაცხმყოფელია,მაშადამ ისეთი სახის მიმართვები,როგორიცაა "ძმებო ადრე თქვენც ქართველები იყავით"-ო, ნუთუ საეჭვოა ეს? მაგრამ არც ამას მიაქცევდა კაცი ყურადღებას,უფრო სერიოზულად რომ არ იყოს საქმე, საქმე კი შემდეგშია ის სისხლიანი ბორბალი,/ქვემო ქართლი,სამაჩაბლო,აფხაზეთი/ რომელიც ჩვენი ერის დაუძინებელი მტრის, რუსეთის იმპერიული ძალების ხელითაა დაბრუნებული,რათა ერთ ადგილზე ტრიალით დაგვახვიონ თავბრუ,სისხლით გაგვცალონ და თავისუფლებისათვის ბრძოლა გადაგვავიწყონ, ბოლოს და ბოლოს უნდა გაჩერდეს,რადგან არ არსებობს "მარადიული ძრავა" და ეს მოხდება იმ დროს,როცა ძალა გამოლეული იმპერიის მოტორჩმანე შენობა ნგრევას დაიწყებს, მაშინ სულთმობრძვის ნერვიული თრთოლვა,მეტად სახიფათო ფეხების ქნევაში გადაიზრდება,ბევრის დედა ჩაიცვავს მაშინ შავს,ბევრი ქვრივი და ობოლი დარჩება იმ დროს, ყოფილი იმპერიის ხალხებში. არა მგონია ეჭვი ვისმეს ეპარებოდეს ამაში დღეს,ცხადზე უცხადესია - ნებით არაფერს დასთმობს ურჩხული,რამე თუ პირსისხლიანი,ორ თავიანი არწივის პირში "გვარზე ხტის!" აი იმ დროს გადარჩება მხოლოდ ის,ვისაც მეტი მომზადება ექნება,ვინც მოახერხებს თავი აარიდოს სასიკვდილო დარტყმას და მერე თვითონ გადავა შეტევაზე!

სხვათა შეცდომებზე და გამოცდილებებზე ჭკუის სწავლება ბრძენთა ხვედრიაო,გამიგონია! ისიც კარგად ვუწყი,რომ არ არსებობს ერი ჩემს ერზე მეტი სიბრძნის მატარებელი და რა ღმერთი გვიწყრება დღეს,რომ გვესმის, ვხედავთ და მაინც ვუგულებვყოფთ ჭეშმარიტებას,რა არის ეს,შორსმჭვრეტელობის უნარის დაკარგვა თუ სიჯიუტე?

ასობით ყმაწვილის კუბოს ფასად დაუჯდა საქართველოს "რუსთა ინტერნაციონალური ვალი" ავღანეთში,ასობით "ცინკის" კუბო და ათასობით განახევრებული სიცოცხლე - ეს არც ისე ცოტა ფასია იმის დასანახავად,რომ ავღანეთის პატრიოტები ვერაფერს გააწყობდნენ "ინტერნაციონალისტ" დამპყრობელთა წინააღმდეგ,რომ არა ბელუჯთა ტომების ნაწილის ავღანეთში,ნაწილი-

სა კი პაკისტანის ტერიტორიაზე,განსახლებასთან,რომ არ ჰქონდათ საქმე,ბრძოლისაგან ქანცგაცლილი,დაღლილ-დაჭრილი და განახევრებული მამულიშვილების რაზმები,საზღვარს იქით,თავიანთ თანამოძმეებთან,პაკისტანში მცხოვრებ ავღანურ ტომებთან ნახულობდნენ შვებას,ჭრილობებს იშუშებდნენ,ძალას იკრებდნენ და ისევ თავს ესხმოდნენ დამპყრობლებს,მათ გარნიზონებს!

ბალტიის პირელებს,სომხებსა და უკრაინელებს დასავლეთში მძლავრი ემიგრაციები ყავთ და მაინც ნაკლებ დასაჯერებელია,რომ მათ შესწევდეთ ძალა,დაქირავებული ჯარით აღმოუჩინონ დახმარება თავიანთ ხალხს – ქ ესმით მოსკოვში.

მხოლოდ ქართველებსა გვაქვს იმისი საშუალება,რომ "თურქეთში" მცხოვრები,მილიონობით თანამოძმეთა და ქართული მიწების მადლით,მტერს გავუმართოთ მედგარი ბრძოლა, ამას დაუმატეთ ქართული სული და ... ესეც კარგად უწყიან კრემლში და ესაა მიზეზი იმისა,რომ ყოველთვის განსაკუთრებულია სისასტიკე მათი,იქნება ეს 9-მარტი თუ 9-აპრილი! ყრილობაზე ცოფიანი ძაღლივით ჰქონდა გენერალ როდიონოვს სახე აღრეული,როცა 9-აპრილის ამბებთან დაკავშირებით,ქართველთა შეუპოვრობას აღნიშნავდა,ავღანეთში "ღვაწლმოსილი" ჯალათიც კი გაკვირვებული იყო,ქართველთა მებრძოლი სულით!

მაგრამ დავუბრუნდეთ სათქმელს. რაც ბიზანტიის ერთმორწმუნე იმპერია დაეცა,ერთმორწმუნე ევროპისაკენაა მიმართული ქართველთა იმედიანი მზერა, ამ გზას შეეწირა ბერი საბაც,მაგრამ უიმედო იმედის გზა აღმოჩნდა ეს გზა! შემდგომშიც ბევრჯერ მიმართეს მზის მიმინების მხარეს ჩვენმა მამებმა,მაგრამ ამაოდ! ჭკუა კი ვერ ვისწავლეთ რადგან ეხლაც ხშირია მსგავსი რამე-რუმეები,ქართული ბაქიბუქობაა მიზეზი იმისა,რომ გვგონია ჩვენ ქართველებს "დასავლეთი" ისე გვცემს პატივს,რომ ქრისტიანულად კაცთმოყვარედ გამოგვიწოდებს ერთმორწმუნეთა ძმური დახმარების ხელს. ზოგს "ნატოს" იმედი აქვს და ზოგს გაეროს შეიარაღებული ძალებისა. – ტყუილია! არც ერთი ქვეყანა,ჩვენდამი ყველაზე კეთილგანწყობილიც კი თითსაც არ გაანძრევს ჩვენს დასახმარებლად, თუ ეს მათ ინტერესებს არ შეესაბამება, დღესდღეობით კი მათ ინტერესებს მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის უშველებელი ბაზა, და ამოუვსები ბაზარი, ყოველივე ამას კი – რუსეთი ჰქვია!

ღმერთის დავიწყებამ,ბევრი ისეთი სიბრძნე დაგვავიწყებინა, რასაც ჩვენი მამა პაპანი გზის მარჩვენებლად ხმარობდნენ,დღეს თითქოს და ვუბრუნდებით მამაზეციერს,მაგრამ ვუბრუნდებით არჩევით, რაც გვაწყობს ღმერთში იმას ვლებულობთ და რაც არ მოგვწონს იმას ვუარყოფთ, ღმერთი კი ერთია და განუყოფელი! მოდით გავიხსენოთ რა უთხრა უფალმა წყალწაღებულს? – დიახ, გაანძრიე ხელი და გიშველიო! შენ გაანძრიე ხელიო და არა სხვას მიაპყარი იმედის თვალიო! – გვახსოვდეს ეს!

პირადად მე ღრმადა მწამს და ჩემი ძმების, საზოგადოების წევრების აზრიც ისაა, რომ თავისუფლებისათვის გამართულ გენერალურ ბრძოლაში,შეიძლება გვქონდეს ღმერთის, ჩვენი და ჩვენი სისხლისმიერი ძმების იმედი, ხსნა ამ სამებაშია და არა ნატოსა და გაეროს ჯარებში,ამიტომ ჩვენი ვალია, კი არ ვუცაცხანოთ ჩვენს ძმებს გინდა თუ არა მიატოვეთ თქვენი სარწმუნოება და ჩვენსაზე გადმოდითო, არამედ,მე თუ მკითხავთ თბილისის მეჩეთი მათ საკუთრებაში უნდა გადავცეთ, ყურანი ქართულად გამოვცეთ და ხელი შევუწყოთ რომ მათ თავიანთი რელიგია მშობლიურ ენაზე იქადაგონ,გარწმუნებთ უფრო სწრაფად გადის ხმები საზღვარგარეთ ვიდრე ვინმეს გონია და განა ჩვენი მამა-პაპის სიბრძნე არაა "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი"-ო? ტკბილად მოქცევა მთელი ქართველი ტომების გაერთიანების საფუძველია და გამარჯვებაც ამ ერთობაშია ჩამალული,ძალდატანებით კი ვერაფერს კარგს ვერ მოვიმკით.

აბა მითხარით, რა იმისი ბრალია რომ აგერ თითქმის სამასი წელია ის მუსულმანურ სარწმუნოებას მისდევს,თუ ჩვენს მამა-პაპას იმისი ძალა არ ეყო,რომ თავის დროზე,თავიანთ თანამოძმეთ ამოდგომოდნენ მხარში,რათა თავიანთი წინაპრების რჯული შეენარჩუნებინათ,დღევანდელი მუსლიმანური ქართველობის წინაპართ?

ნუ მოვექცევით მათ ისე,თითქოს ისინი და მარტო ისინი ყოფილიყვნენ ამაში დამნაშავენი,თორემ გაუცივდებათ ძმური სიყვარულით ანთებული გული,რომელიც ისედაც განელებულია ამ სამოცდაათი წლის მანძილზე – და მერე გვიანი იქნება თითზე კბენა!

"გათიშე და იბატონე!" – ეს არის ყველა ჯურის დამპყრობლის სახელმძღვანელო დევიზი და მოდით ნუ ავყვებით მათ ნებას, ნუ წავიკიდებთ სამტროდ ჩვენს სისხლისმიერ ძმებს!

ბედის ირონიას მოხარშული დედალივით გაუგლეჯია მთლად საქართველო,ნაწილი რუსეთის იმპერიაშია, ნაწილი კი თურქეთის იმპერიის ნამსხვრევებს ქვეშ არის მოქცეული, ექვს-შვიდ ნაწილად გაუგლეჯიათ და სისხლსა სწოვენ – ვაი საქართველოვ! ჩვენ კი იმის მაგივრად,რომ მამულიშვილური გრძნობის ცეცხლით ვადუღოთ სიყვარული,რომელიც მომავალში შეადუღაბებს საქართველოს ნანგრევებსა და მკვიდრეთით აღადგენს ერთიან,განუყოფელ და ძლიერ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ – რას ვჩადივართ?

ღვთის გულისათვის დაფიქრდით ამაზე!

მორს მწვერვალებითა და სიბრძნით განთქმული ერის შვილნი ვართ, დაგვიწყებია ეს, "დღევანდელი კვერცხი ჯობია,ხვალინდელ ქათამსაო" – ეს ქართველი კაცის ნათქვამი არ არის, ამის მთქმელი ქრისტეს არ შეიყვარებდა, არც ხეჭეჭურის ჯიშს გამოიყვანდა – ღმერთია მოწამე ამაში!

ამიტომ მოდით მივყვეთ ჩვენს ჯილაგსა და ჯიშს,ნუ გავახარებთ მტერს!

ყველას მოეწონა ბატონ ზვიად გამსახურდიას აზრი"კავკასიის სეიმის" დაარსების შესახებ,მართლაც კარგი აზრია,მაგრამ როგორ? გავაქრისტიანოთ ყველა და მერე მივიღოთ ისინი ამ დარბაზის წევრებად თუ ისე როგორც არიან თავიანთ ღმერთებთან ერთად?

გამსახურდიამ კარგი თესლი მოაბნია და მოდით, ამ კარგ თესლს,კარგი ნიადაგი მოვუმზადოთ,რომ კარგი მოსავალიც მივიღოთ, ეს საერთო საშვილიშვილო საქმეა – გვახსოვდეს ეს! და დღევანდელ კვერცხს, თუნდაც დიდსა და ნოყიერს ნუ გამოვეკიდებით,ხეჭეჭურზე ვიფიქროთ,ჩვენი მამა-პაპის მსგავსად და შთამომავალნიც მადლიერებას არ დამალავენ!

სხვა ყველაფერი თვითმკვლელობაა! – ასე მგონია მე.

ქართველ შევარდენთა ლეგიონის –
სარდალი – ელგუჯა წიკლაური

ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ!

დიდი ისტორიული ქარ-ცეცხლი გამოუვლია, მრავალი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა დატეხია თავს,უხვ ნაკადულებად დასდენია სისხლი,ნაცემ და ნაგვემ ქართულ მიწაწყალს. მრავალჯერ მიდგომია ერი გადაშენების უფსკრულს,ყოფნა არ ყოფნის ჭიდილში გამობრძმედილა,ქართული სული და გადარჩენილა ქართული გენი!

დღესაც ბორგავენ საფლავებში ჩვენი წინაპრების ძვლები და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენვე უნდა მივხედოთ მათ საწუხარს,ჩვენი გასატანია ღელო და ჩვენივე ვალია,შთამომავლობას არ დავუკარგოთ მამული და ქართველობა,რომელიც ასეთი ჭირვარამით შეუნარჩუნებიათ ჩვენთვის წინაპრებს.

უფალს უბოძებია ქართველთათვის ენა, მამული,სარწმუნოება,რომლებიც დაცვას საჭიროებენ და მათი შენარჩუნებისათვის,დამოუკიდებლობაა საჭირო.

დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი ყოველი ერის წმინდა მოვალეობაა!

ძმებო! თუ ჩვენ მართლაც და ერის შვილები ვართ და წინაპართა ღირსეული შთამომავალნი,უნდა მივხედოთ ერსა და მამულს, უნდა გადავირჩინოთ თავი!

არ იფიქროთ თითქოს და დაუყოვნებელი შეიარაღებისაკენ, შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოვუწოდებდე ერს,ღმერთმა დამიფაროს ამგვარი მკრეხელობისაგან. რა თქმა უნდა დამოუკიდებლობას მშვიდობიანი გზით უნდა მივაღწიოთ, უსისხლო,დიპლომატიური ღონისძიებების გატარებით,მაგრამ ლაშქარი მაინც აუცილებელია,ნებისმიერ სახელმწიფოს ჭირდება ლაშქარი,თავის დასაცავად. მოდით ვუარყოთ მტკნარი ილუზიები, თითქოს და მარტო მიტინგები,გაფიცვები მოგვიტანენ თავისუფლებას. ჩირადაც არ უღირს არავის ჩვენი ამგვარი საპროტესტო აქციები – ვფიქრობ არ სჭირდება ამას მტკიცება.

საქართველო მაშინ შეიძლება გახდეს თავისუფალი,როდესაც ამას ჩვენი მთავრობა,ულტიმატუმის სახით წაუყენებს მოსკოვს წინადადებას და ამის ძალაც ექნება, ის რომ,ვინმე მესამე,კეთილი ბიძიას როლში გამოვა და თავისუფლებას მოგვანიჭებს – გულუბრყვილობაა და მეტი არაფერი! აბა დაფიქრდით და გაიხსენეთ,ყოფილა კი ამგვარი შემთხვევა ისტორიაში? უთქვამს კი ვისმეს ჩვენთვის ოდესმე – აბა ქართველნი და თავისუფალნი იყავითო? არა, არა და არა,ჩვენ ჩვენი თავისუფლება ყოველთვის ძალით გამოგვიგლეჯია მათი ხელიდან! რამდენი ბრძოლა გადაიტანა დავით აღმაშენებელმა? გიორგი ბრწყინვალემ კი თავი,თავის უფლად თვით გამოაცხადა და შებრძოლებაც ვერავინ გაუბედა,რადგან არც ერთს და არც მეორეს არ ყოლია სუსტი ლაშქარი და სწორედ ამან განაპირობა მათი სიძლიერეც!

გინდა იყო თავისუფალი? – იყავი!!! ადექი და საქვეყნოდ აღიარე თავი დამოუკიდებლად,ღირსი ხარ ამისი,ერი იმსახურებს ამას,ხოლო გამოგვიცხადებს თუ არა ომს დამპყრობელი ეს მისი საქმეა.

ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვგავდეთ,ბუდიდან გადმოვარდნილ უსუსურ ბარტყს,კლანჭების გამოჩენა მაინც უნდა შეგვეძლოს,რაღაცას მაინც უნდა წარმოვადგენდეთ.

არც იმით უნდა გავიბრიყვოთ თავი, თითქოს მოსკოვი თვითონვე მოგვცემს დამოუკიდებლობას, ან თუნდაც მისგან დამოუკიდებელ ლაშქარს შეგვაქმნევინებს, ანდა გავა და ჩვენს წილ სამხედრო ტექნიკას დაგვიტოვებს. – ჩვენი ლაშქარი ჩვენვე უნდა შევქმნათ! ამ ერთი თვის წინ,საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად ჩამოსულმა გენერალმა ნავოზოვმა /გვარი შესაბამისი ჰქონია/ყველას გასაგონად ბრძანა, "ეროვნულ საჯარისო ფორმირებებზე ფიქრიც კი ზედმეტიაო, პირიქით რესპუბლიკაში უნდა გაიზარდოს სამხედრო პატრიოტული აღზრდის დონე"-ო. გარდა ამისა,გინდაც შევძლოთ და ქართველი ბიჭების ნაწილი დავტოვოთ საქართველოში,სამხედრო სამსახურის მოსახდელად, ამ ჯარის სადავეები მაინც მოსკოვს ეკავება ხელში. მესამე – რუსეთმა კარგად იცის,რომ ჩვენ განვიცდით ეროვნული ოფიცერთა კადრების კატასტროფულ შიმშილს და სულაც არ გაიცხელებს თავს,მათი მომზადებით,პირიქით კი ცდილობს და ეცდება,რომ ეს სუსტი მხარე კიდევ უფრო დასუსტდეს!

სანამ საქართველო დამოკიდებულია და ჩვენი "კონსტიტუცია" არ ეწინააღმდეგება, ქართველმა ბიჭებმა საბჭოთა არმიაში სამსახური უნდა მოიხადონ,როგორც სარეკრუტო კაბალა,რა თქმა უნდა საქართველოს ტერიტორიაზე,ეს მძიმე ტვირთია ჩვენთვის,მაგრამ ერთად ერთი,რომელიც მართლა იძლევა დაწყებით სამხედრო მომზადებას ეს კი აუცილებელია ხვალინდელ საქართველოში,რამე თუ თავისუფლებას უბრძოლველად არავინ მოგვცემს.

დღეს არსებული რესურსებისგან,ჩვენ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს,ქართული ლაშქარი უნდა შევქმნათ, დრო უკვე ლაპარაკიდან,დისკუსიებიდან საქმეზე გადავიდეთ.

თუ ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი საქართველო, ჩვენი თავიც უნდა გვინდოდეს დამოუკიდებელ საქართველოში – საქართველოსთვის,წინააღმდეგ შემთხვევაში,ჩვენი ბრძოლა არ იქნება სრულყოფილი, ის კი არა აფსურდულიც კია.

"დამოუკიდებელი საქართველო მინდა,თუ მე კარგად ვიქნები და თან ხელის განძრევაც არ დამჭირდება"– ეს მონის მსჯელობაა ძველი სამხედრო ჭეშმარიტება ამბობს – "ტყვე ჯერ კიდევ თავისუფალია თუ იგი არავის ემორჩილება,ხოლო მონად მაშინ იქცევა როდესაც მას,წინ დადგმულისალაფავის დანახვაზე სიხარულის გრძნობა დაებადება, ან ამით დაკმაყოფილდება. მისი მონობა არც მაშინ შეიცვლება,თუ მისი სალაფავი გემრიელად იქნება შეზავებული ის მაინც მონაა ოღონდ ნაპატივები!

სამშობლოსათვის ქართველ მოლაშქრეთა მომზადება,დასაწყისიდანვე აუცილებელ პირობად მიგვაჩნია და ამ საქმეში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიჭირონ,სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლებმა!

– სწორედ მათ მიემართება ეს წერილი, ყველა ქართველ სამხედროს მასწავლებელს ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ,ᲕᲘᲡᲐᲪ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲙᲑᲔᲠᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ მოდით მივხედოთ საქმეს! ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ! – საქმე კი თი,რა ბევრია.

დღეს ჩვენს სკოლებში არსებული პროგრამა,პირდაპირ ეწინააღმდეგება ეროვნულ სულისკვეთებას,ის დასაწყისშივე მოითხოვს ბავშვებს ჩავუნერგოთ "საბჭოთა სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური სული",

თუ საგნის ერთ-ერთი მიზანი,სამხედრო პატრიოტული აღზრდაა,რატომ არ უნდა აღვზარდოთ ბავშვები ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით?

ჩვენმა ბავშვებმა არ იციან,ვინ იყვნენ მათი წინაპრები, ჩვენს სკოლებში არ არსებობს ქართული მხედრული ხელოვნების ისტორიის სწავლება,ჩვენდა სამწუხაროდ არ არის სახელმძღვანელო,არა და რატომ არ უნდა იცოდნენ ბავშვებმა – დიდგორის, შამქორის,ბასიანის,ერწუხის,მარაბდის, მარტყოფის,კრწანისის და სხვა მრავალი ბრძოლების შესახებ? არა მგონია ჩვენს ბავშვებს სიამოვნებითა და სიამაყით არ ესწავლათ ეს საგანი – ამ საგნის სწორი სწავლებით ვფიქრობ,გაცილებით მეტ დადებით გავლენას მოვახდენდით მათ სულებზე.

პედაგოგებო! – პროგრამის არც სხვა ნაწილებშია ყველაფერი რიგზე,მრავალი გაუაზრებელი თემების სწავლებას მოითხოვს იგი ჩვენგან.

ჩვენ კი გვჭირდება ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,ერის ნამდვილი პატრიოტი, ფიზიკურად,მორალურად და ინტელექტუალურად ძლიერი,ზნეობრივად მაღალი ახალგაზრდობა! ამ მიმართულებით შრომის გაწევა თქვენი მამულიშვილური ვალია!

ჩვენ მოგიწოდებთ დაგვეხმაროთ ამ დიდ საქმეში,გარწმუნებთ თქვენი ღვაწლი უქმად არ ჩაივლის,მამულს სჭირდება თქვენი აქტიური მოქმედება და ელის კიდევ,თქვენს მამულიშვილურ საქმიანობას!

ქართველ შევარდენთა ლეგიონის
შტაბის უფროსი – Თ. ᲡᲐᲑᲕᲐᲠᲘ

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲜᲝ!

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ – "ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲗᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ" ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ!

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ,ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ,ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲛᲝᲒᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ!

ჩვენი მისამართია: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲕᲔᲠᲘ – ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲐᲡᲕᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ. ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲨᲕᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲠᲐ ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ!

ქართველ შევარდენთა ლეგიონის
სამხედრო საბჭო

ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ!

"სახელითა მამითა, ძითა და სული
წმინდითა – ამინ!"

დღეს საქართველო გამოღვიძების გზას დამდგარი,იღვიძებს ქართული სული და მასთან ერთად ქართული გენიც იბრუნებს თავის პირვანდელ დანიშნულებას,რამე თუ გრძნობს თავისუფლების სიოს მოახლოვებას და ვით ღრმა ჯურღმულში დიდი ხნით გამომწყვდეული პატიმარი, ნატრობს სუფთა ჰაერის შემოჭრას,გინდაც ფრინველი,წლობით გალიაში გამომწყვდეული – ასეა ისიც.

ღმერთმა დასწყევლოს 1921-წლის თებერვალი, ქართველ ერს ის დიდი ხანია დაწყევლილი აქვს.

სწორედ ის გახდა საწყისი იმისა,რომ აქა-იქ თუ სადმე შემოგვრჩა ხელუხლებელი წმინდა ტაძრები და ისიც იმისი ბრალი თუ მადლია,რომ ვერაფერი მოუხერხეს მამა-პაპათაგან მტკიცედ ნაგებ კედლებს.

'სხვა ყველაფერი ჯერ გაგვიძარცვეს,მერე კი გაგვინადგურეს,წმინდა ხატები /გაუწყრეთ მათი მადლი/ "მატრიოშკებად" გადაგვიდნეს,საეკლესიო ოქრო,ვერცხლი და სპილენძი მთლად მოგვპარეს,ხოლო რაც ვერ გამოიყენეს ის გაგვიცამტვერეს,ის რაც გადარჩა, იმ ერთი მუჭა ქართველობის მადლითა გვაქვს,სულ განათლებული ექვთიმე თაყაიშვილი რომ ჩაუდგა სათავეში, თორემ მათი გადადნობის შედეგად ჩამოსხმული ჩინ-მედლები მკერდზე რომ აღარ დაეტეოდათ, უკან ჩამოიკიდებდნენ და ასე ივლიდნენ დღეს!

ვერც იმ მცირედს გადაარჩენდა სულმნათი ექვთიმე,რომ არა ხუთი ათასი ქართველის მხურვალე გული,ძირითადად უწვერულვაშო შევარდნელები და კადეტები.

ხუთი ათასი სამშობლოსათვის სანთლად დანთებული სული გადაელობა,ჩვენი ერის პირსისხლიანი ჯალათების ურდოს!

ხუთი ათასი ქართველი ჭაბუკი და ასორმოცდაათიათასიანი მე-11 არმია – ეს ბრძოლა თავის დროზე,ქართული სამხედრო ეპოპეების დიდ დავთარში ბრწყინვალე ფურცლად ჩაეკერება! – მაგრამ ეს მომავლის საქმეა, დღეს კი,დღეს მათი საფლავებიც მოსაძებნი გვაქვს –გაანათლოს მათი სულები ღმერთმა ამინ!

ოდესღაც ხუთი დიდი ეკლესია იყო,ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია – კოჯორში,ბოლშევიკებმა სულყველა დაგვინგრიეს,მათი მასალებით კი თავიანთთვის სრა-სასახლეები წამოიჭიმეს – მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია?!

დღესაც კი ამჩნევია იმ მძიმე ბრძოლების კვალი კოჯრის ციხესთან – ამსვლელო მუხლი მოიხარე,რამე თუ იქ ქართველთა დიდების უხილავი ალი ანთია,მარადიულ ცეცხლად!

იმ ბრძოლაში ტყვედ არავინ ჩავარდნილა, რადგან ტყვეებს,მძიმედ დაჭრილებსაც კი, ადგილზევე ხვრეტდნენ,გაცოფებული კაციჭამიები და მერე დიდ ორმოებში ყრიდნენ – ესესელები მათთან ანგელოზებად მოგეჩვენებოდა კაცს!

სწორედ ამ გმირული,ჭეშმარიტად ქართული სულისკვეთების საძირკველზეა აღმოცენებული ქართველ შევარდენთა ლეგიონი! მათ საქმეს ვაგრძელებთ ჩვენ და ღმერთია ჩვენი შემწე! ხოლო მათი ბრძოლის მიდამოებში გადაწყვეტილი გვქონდა აგვეგო მარმარილოს დიდი ჯვარი, მაგრამ დაბა კოჯრის პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობის რჩევითა და თანადგომით ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲣᲬᲘᲜ ძეგლი ედგა /აზეულას ანუ კოჯრის ციხესთან/ აიგოს წმინდა საყდარი, ᲘᲛ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ!

მშენებლობას დავიწყებთ,როგორც კი დათბება /მაისის ბოლოს/ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲗᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ, ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲜ ᲐᲛ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ ქართველ შევარდენთა ლეგიონის სამხედრო საბჭოს!

ქართველ შევარდენთა ლეგიონის –
კოჯრის განსაკუთრებული რაზმის –
მეთაური-ნოდარ ქორელიშვილი

=ᲓᲠᲝᲐ!=ქართველ შევარდენთა ლეგიონის, ლეგიონერთა მარში

დროა,ქართველნო დროა!
დროა! დროა! დროა!
დროა ნულარას ველით,
დროა ქართველნო დროა!
დროა! დროა! დროა!
დროა ხმალს ვიკრათ ხელი,
დროა ქუდზე კაცს ვუხმოთ!
დროა! დროა! დროა!
დროა შევყაროთ ერი,
ლაშქრული დავჭექოთ ძმებო!
შევაზანზაროთ მთები!
დროა! დროა! დროა!
დროა ვახსენოთ ღმერთი!
დროა გავმართოთ ბრძოლა!
ვერ შეგვაშინონ ვერა,
ერთზე თუ ასი მოვა!
დროა! დროა! დროა!
დროა ქართველნო დროა!
დროა! დროა! დროა!
დროა გავშალოთ ფრთები!
ფხა გავუსინჯოთ ფრანგულს
არ გავახაროთ მტრები!
დროა! დროა! დროა!

ნიკო მტკვრისპირელი

"ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ" – სრულიად საქართველოს,სამხედრო ტიპის,პატრიოტულ-სპორტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის-ბეჭვდითი ორგანო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ